დანართი #1

დამტკიცებულია სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2017 წლის პირველი დეკემბრის
#263/02-01 ბრძანებით

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელების (უფროსი) შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

$ 1. ზოგადი დებულებები

1. წესის მიზანია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელების (უფროსი) არჩევა.

$ 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

1. საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:
კონკურსის წესით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელების (უფროსი) პოზიციაზე კანდიდატების არჩევა.

2. კომისიას მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაძლებელია მოწვეული იქნას შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტები.

§ 3. კონკურსანტის შეფასების წესი

კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს წარმოდგენილი საბუთების შესაბამისობას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 22 ნოემბრის №252/02-01 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. აპლიკანტები, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას ინგლისურ და ქართულ ენებზე.
ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტის უნარები, ცოდნა და გამოცდილება შეფასდება მითითებული ქულებით:

ა) საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი პროფესიული გამოცდილებით – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;

ბ) ბოლონიის პროცესის და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შესახებ ცოდნა – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
გ) უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები:
გ.ა.) „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
გ.ბ.) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
გ.გ.) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების ცოდნა – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
დ)ბოლონიის პროცესისა და ერთიანი ევროპული სივრცის დოკუმენტები:
დ.ა) სახელმძღვანელოს – „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG)". 2015 წ. (http://erasmusplus.org.ge/files/publications/ESG%202015.pdf) – ცოდნა შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
დ.ბ) სახელმძღვანელოს - ხარისხის შიდა მართვა კომპეტენციებზე დაფუძნებულ უმაღლეს განათლებაში (https://drive.google.com/file/d/0B8EsOg5UNGftaVdKdlBhVjNZbjQ/view – ცოდნა შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
ე) სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცოდნა – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
ვ) კომპიუტერული უნარები შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
ზ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
თ) ფორს-მაჟორულ ვითარებაში მუშაობის უნარი შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
ი) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
კ)პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
ლ) ინგლისური ენის ცოდნა შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;.

აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად პრეტენდენტის უნარები, ცოდნა და გამოცდილება შეფასდება მითითებული ქულებით:

ა) საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი პროფესიული გამოცდილებით – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
ბ) ბოლონიის პროცესის და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შესახებ ცოდნა – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
გ) უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა:
გ.ა) „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
გ.ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
დ)ბოლონიის პროცესისა და ერთიანი ევროპული სივრცის შემდეგი დოკუმენტების ცოდნა – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;

დ.ა) სახელმძღვანელოს – „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG)". 2015 წ. (http://erasmusplus.org.ge/files/publications/ESG%202015.pdf) – ცოდნა შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
დ.ბ) პრაქტიკული სახელმძღვანელოს - „სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა“
(http://erasmusplus.org.ge/files/publications/Learning%20Outcomes%20ge.pdf) _ ცოდნა შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
დ.გ) სახელმძღვანელოს - „კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა“

(https://drive.google.com/file/d/0B8EsOg5UNGftNFZwWGprVENVaWc/view) _ ცოდნა შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;

ე) სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცოდნა – შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
ვ) კომპიუტერული უნარები შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
ზ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
თ) ფორს-მაჟორულ ვითარებაში მუშაობის უნარი შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;
ი) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
კ)პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;;
ლ) ინგლისური ენის ცოდნა შეფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით;.

§ 4. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიის წევრების მიერ თითოეულ აპლიკანტი შეფასდება ცალ-ცალკე;
2. თითოეული აპლიკანტის საბოლოო შეფასება გამოითვლება ცალკეულ კომპონენტში კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების შეჯამების გზით. განყოფილების ხელმძღვანელის (უფროსი) თანამდებობაზე შერჩეულად ჩაითვლება ის პირი, ვინც დააგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას;
3. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, ვისაც კომისიის წევრების მიერ მიღებული ექნება მაღალი შეფასება (ქულა) საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნაში. ქულის გაანგარიშება ხდება მოცემულ კომპონენტში კომისიის წევრების მიერ აპლიკანტისათვის მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის გზით;
4. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატთან/კანდიდატებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

§ 5. დავების გადაწყვეტა

1. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.